ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

თბილისი 0114, თავისუფლების მოედანი 2, ტელ: +995 (32) 2 15 92 92; www.sakrebulo.ge
FREEDOM SQUARE 2, 0114 TBILISI, GEORGIA; TEL: +995(32) 2 15 92 92; www.sakrebulo.ge

№ 06/3927 „01" [illegible] 2017 წ.

სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
რექტორს ბატონ ზურაბ ვადაჭკორიას

ბატონო ზურაბ,

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ განიხილა თქვენი 2017 წლის 27 მარტის №06/3927 წერილი.

გაცნობებთ, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №281 განკარგულების თანახმად საბურთალოს რაიონში, საირმის ქუჩის მიმდებარედ არსებულ უსახელო ქუჩას მიენიჭა ქირურგის, ექიმის გურამ ტატიშვილის სახელი.

გიგზავნით შესაბამის განკარგულებას თანდართული რუკით.

დანართი 2 (ორი) ფურცელი.

პატივისცემით,

სახელდებისა და სიმბოლოკის
კომისიის თავმჯდომარე ლია ჯახველაძე

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 281

„ 25 " ივლისი 2017 ‌წ

ქ. თბილისი

**ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, საირმის ქუჩის მიმდებარედ არსებული უსახელო ქუჩისთვის ქირურგის, ექიმის გურამ ტატიშვილის სახელის მინიჭების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) საბურთალოს რაიონში, საირმის ქუჩის მიმდებარედ არსებულ უსახელო ქუჩას მიენიჭოს ქირურგის, ექიმის გურამ ტატიშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., N6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი


X:479,653.093
Y:4,619,431.495
X:479,670.194
Y:4,619,309.362
X:479,674.417
Y:4,619,302.004
გურამ ტატიშვილის ქ.
X:479,666.302
Y:4,619,043.460
X:479,702.983
Y:4,619,086.395
X:479,665.050
Y:4,619,004.852
X:479,702.926
Y:4,619,044.477